აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის ანგარიში

(01.09.2019 – 31.08.2020)

2020 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

(01.09.2019 - 31.08.2020)

კომიტეტის შემადგენლობა:

კომიტეტის თავმჯდომარე - **ცოტნე ანანიძე**

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - **ილია ვერძაძე**

კომიტეტის წევრები:

ნუგზარ სურმანიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

პეტრე ზამბახიძე

ელგუჯა ბაგრატიონი

კომიტეტის აპარატის თანამშრომლები

კომიტეტის აპარატის უფროსი - ბაკურ ბოლქვაძე

კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე - მადონა ლომინაძე

უფროსი სპეციალიტი - ეკატერინე ბერიძე

უფროსი სპეციალისტი - ირაკლი აბაშიძე

უფროსი სპეციალისტი - თამაზ ქობულაძე

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის დებულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის დებულების შესაბამისად.

საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 3 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 5 საკითხი. მათ შორის 3 კანონის პროექტი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ".

2. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (N09-01-08/90,27.04.2020წ).

3. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (N09-01-08/100,04.08.2020წ).

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტში საანგარიშო პერიოდში მოსმენილ იქნა და ცნობადაა მიღებული:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების დოკუმენტის მიმოხილვის შესახებ ანგარიში.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტში საანგარიშო პერიოდში მომზადებულ იქნა 5 დასკვნა.

მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ და აპარატის თანამშრომლებმა უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში შეხვედნენ 48 მოქალაქეს. კომიტეტის თავმჯდომარეს ჰქონდა ასეულობით სატელეფონო კონსულტაციები და მოქალაქეებთან ინდივიდუალური შეხვედრები ადმინისტრაციული შენობის გარეთაც. მოქალაქეთა მიღების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრები უკავშირდებოდა სხვადასხვა თემატიკას და მიზნად ისახავდა მოქალაქეთა წინაშე დასმული საკითხების გაცნობას, კონსულტაციის გაწევას, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წინაშე შუამდგომლობის

განხორციელებისათვის სრულყოფილი დოკუმენტაციის შეგროვებაში მოქალაქისათვის დახმარების გაწევას.

შემოსული და გასული კორესპონდენციები

შემოსული

მოქალაქეები	
დასაქმება	1
საკუთრების უფლების დაცვა/აღდგენა	3
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	2
სოციალური პირობები	4
კანონიერი უფლებების დაცვა	7
შუამდგომლობა პრეზიდენტთან	6
პირობით ვადამდე გათავისუფლება	6
სხვა	4
სულ -	33
უწყებები და ორგანიზაციები	
სპეციალური პენიტენციური სამსახური	1
პროკურატურა	6
პენიტენციური დაწესებულება	3
საქართველოს პარლამენტი	1
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	2
შინაგან საქმეთა სამინისტრო	1
შიდა შემოსული კორესპონდენცია	38
სხვა	5
სულ -	57
შემოსული კორესპოდენციის ჯამი	**90**

გასული

პასუხი მოქალაქეებს	29
პროკურატურას	3
პენიტენციურ დაწესებულებას	7
საქართველოს პრეზიდენტს	5
ქ. ბათუმის მუნიციპ. მერიას	1
აჭარის ა.რ. მთავრობას	1
შინაგან საქმეთა სამინისტროს	1
შიდა გასული კორესპონდენცია	12
სხვა	10
გასული კორესპოდენციის ჯამი -	**69**

კომიტეტის საქმიანობა და ღონისძიებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტებია მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა უფლებები, შშმ პირთა უფლებები, გენდერული თანასწორობა, მოქალაქეთა საკუთრების უფლება. კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონაწილებოდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ უფლებების უზრუნველყოფასთან.

განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შშმ პირთა უფლებები და მათი ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია, რომ ეტლით მოსარგებლეებისთვის არსებობდეს ადაპტირებული გარემო საჯარო სივრცეებში. ასევე, მათი

დასაქმების საკითხი. კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობდნენ ამ უფლებების რეალიზაციას.

ხორციელდებოდა საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულებისა და ბრალდებულებისთვის შექმნილი პირობების მუდმივი მონიტორინგი. ამისათვის კომიტეტის თავმჯდომარე რეგულარულად ხვდებოდა №3 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს, ისმენდა მათ მოსაზრებებსა და საჩივრებს.

მოქალაქეებთან მუდმივი კომუნიკაციის მეშვეობით კომიტეტი ეცნობა მათ პრობლემებს, საჭიროებებს და ახორციელებს შესაბამის რეაგირებას. შეხვედრები იმართება როგორც უმაღლეს საბჭოში, ასევე ადგილზე გასვლით. გარდა ამისა, კომიტეტში რეგულარულად შემოდის მოქალაქეთა განცხადებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. წერილების თემატიკიდან უნდა გამოიყოს მომართვიანობა შეწყალებაზე შუამგომლობასთან დაკავშირებით, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, კანონიერი უფლებების დაცვა/აღდგენა, საკუთრების უფლება და ა.შ. კომიტეტი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და დაწესებულებებთან მჭიდრო კომუნიკაციით ახდენს მათზე დროულ რეაგირებას.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები და აპარატის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეხვედრებსა თუ ღონისძიებებში:

16.09.2019 - მერიის მაღალჩინოსანთა საქმესთან დაკავშირებით კომიტეტის თავმჯდომარემ სატელევიზიო კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ მისი როგორც უფლებადამცველის აზრით არ იყო მიზანშეწონილი მერიის მაღალჩინოსნების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, რადგანაც დაკავებული პირები აქტიურად თანამშრომლობენ გამოძიებასთან, ყველა მტკიცებულება გადაგზავნილია სასამართლოში არსებითი განხილვისათვის, არ წარმოადგენენ საზოგადოებისათვის საშიშროებას და სრულიად მიზანშეწონილი იქნებოდა მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება;

25.09.2019 - კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრი პეტრე ზამბახიძე „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ ბათუმის ოფისში გამართულ საინფორმაციო შეხვედრას დაესწრნენ, რომელსაც საქართველოს პარლამენტის, შს სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები უძღვებოდნენ. კომიტეტის თავმჯდომარემ შეხვედრისას აღნიშნა: „ძალადობის გამოვლენა თითოეული მოქალაქის ცნობიერების ამაღლებაზეა დამოკიდებული და მჯერა, სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციის შესახებ კანონის ამოქმედების შემდეგ, ამ მიმართულებით

ბევრი რამ შეიცვლება. კარგი იქნება თუ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე მომზადდება შესაბამისი ვიდეორგოლები, რომლებიც დისკრიმინაციის შესახებ კანონის იმპლემენტაციას შეუწყობს ხელს“.

მომხსენებლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ბოლო დროს შრომით ურთიერთობებში გამოვლენილ დისკრიმინაციის შემთხვევებზე.

28.09.2019 - კომიტეტის თავმჯდომარე გამოეხმაურა სმენადაქვეითებულთა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციას სახელმწიფოების მიმართ სექტემბრის ბოლო კვირის შაბათ დღეს ჟესტური ენის შექმნასთან დაკავშირებით.

საბედნიეროდ, უკვე არსებობს ახლადშექმნილი ლორმის ანბანი, რომელიც პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით პირველად დაინერგა ამიერკავკასიაში. უკვე ერთი წელი სრულდება, რაც ფუნქციონირებს სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანების რეაბილიტაციის, განათლებისა და ინტეგრაციის ცენტრები თბილისში, თელავში, ბათუმსა და ზუგდიდში. აღნიშნულ ცენტრებს გააჩნიათ სპეციალური აღჭურვილობები, რითაც პოლონელი ექსპერტების მიერ გადამზადებული სპეცპედაგოგები ეხმარებიან ადამიანებს ჟესტური ანბანის დაძლევაში. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტების დონეზე დაინერგა ასისტენტის პროგრამა, რომელსაც კარგად იყენებენ ბენეფიციარები.

ვფიქრობ, რომ ლორმის ანბანი მნიშვნელოვნად გაამარტივებს სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანების ყოველდღიურ ყოფას, თუმცა ჯერ კიდევ დასაძლევია ბევრი სხვა საკითხი შშმ პირთა უფლებების თანაბარი რეალიზების კუთხით - ჯანმრთელობის, განათლების, შრომის, რესოციალიზაციისა და ადაპტირებული გარემოს ხელშესაწყობად.

დღევანდელ დღეს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ასევე, აღვნიშნავთ ინფორმაციის თავისუფლების/მოპოვების საერთაშორისო დღეს.

საჯარო ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა წარმოადგენს ადამიანის მთავარ უფლებას რათა დავიცვათ და განვახორციელოთ სხვა უფლებები, მათ შორის გამოხატვის თავისუფლება.

მოქალაქეების ამ უფლების განხორციელება არის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური გზა. ამდენად, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა საჯარო მართვაში მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრულყოფილად გამოყენების საუკეთესო შესაძლებლობაა.

30.10.2019 - კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ პროგრამა - „მომავლის თაობის“ ფარგლებში, ქალაქ ბათუმის სსიპ 29-ე საჯარო სკოლაში შეხვედრა გამართა.

პროექტი სახელწოდებით - „მე მაქვს უფლება, მე მინდა მქონდეს უფლება“ საკანონმდებლო ორგანოს წევრმა მე-10 კლასელებს წარუდგინა. ცოტნე ანანიძემ მოსწავლეებს ადამიანის ძირითად და ფუნდამენტურ უფლებებზე, მათი დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე, კონვენციებსა და ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაზე მიაწოდა ინფორმაცია. დეპუტატმა უპასუხა შეხვედრის მონაწილეთა შეკითხვებს და მოისმინა მათი მოსაზრებები ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვის ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით;

08.11.2019 - კომიტეტის თავმჯდომარე ადვოკატთა პროფესიულ დღეს გამოეხმაურა: „ადვოკატის პროფესია ერთ-ერთი უძველესია და უმნიშვნელოვანესიც, რომელიც სათანადო განათლებასთან ერთად, მთელ რიგ ადამიანურ ღირებულებებს მოიცავს. ეს არის პროფესია, რომელიც მთლიანად ადამიანის უფლებების, მათ შორის სამართალდამრღვევი მოქალაქეების უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული“;

08.11.2019 – 2007 წლის 8 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით კომიტეტის თავმჯდომარემ საჯაროდ აღნიშნა, რომ 2007 წლის 8 ნოემბერს ბათუმის უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების დარბევა, მაღალი ალბათობით, არის საქართველოს მესამე პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რადგან ქვეყნის მასშტაბით საგანგებო მდგომარეობა ღამით გამოცხადდა და სპეცდანიშნულების რაზმი შეიყვანეს ბათუმის უნივერსიტეტის ეზოსა და შენობაში.

15.11.2019 - კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე ბათუმის მესამე საპყრობილეში მსჯავრდებულთა პრობლემებს გაეცნო. მორიგი მისვლის მიზეზად ერთი წერილი იქცა, რომლითაც მან საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმართა. მსჯავრდებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობაზე მიუთითებდა და უმაღლესი საბჭოს წევრთან შეხვედრას ითხოვდა. შეხვედრის დასრულებისთანავე კომიტეტის თავმჯდომარე გაესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს, ასევე დაუკავშირდა ყველა შესაბამის უწყებას რეაგირების მიზნით და არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია მიაწოდა. პენიტენციურ დაწესებულებაში მიიღეს ზომები პატიმრისთვის ოპერაციის გაკეთების თაობაზე;

20.11.2019 - კომიტეტის თავმჯდომარე ბავშვთა უფლებების მსოფლიო კონვენციის დღეს გამოეხმაურა: 1989 წლის 20 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ბავშვთა უფლებების მსოფლიო კონვენცია მიიღო. უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც სამ ათეულ წელს ითვლის, საქართველო 1994 წელს შეუერთდა, რითაც ჩვენმა ქვეყანამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ვალდებულება იკისრა.

ყველა ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული და ჰქონდეს შესაბამისი პირობები ზრდისა და ნორმალური განვითარებისთვის. ბავშვთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა ნიშნავს ვიზრუნოთ მომავალზე, სწორედ ამიტომ რეგიონსა და ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში, ამ მხრივ, არა ერთი პროგრამა თუ პროექტი ხორციელდება. მათი მიზანი კი კონვენციით საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა და დღეს არსებული გამოწვევების ერთობლივი ძალისხმევით მოგვარებაა;

21.11.2019 - კომიტეტის წევრები ილია ვერძაძე და პეტრე ზამბახიძე, კომიტეტის აპარატის უფროსი ბაკურ ბოლქვაძე არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე, რომლის მთავარი თემა - „აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2016-2019 წლების საქმიანობის შეფასება და გენდერული წარმომადგენლობების საკითხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში“ იყო, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენელმა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგები წარმოადგინა, რომელშიც გენდერული თანასწორობის საბჭოს მიმართ კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა. საკანონმდებლო ორგანოს წევრებმა, წარმოდგენილი შედეგების შეფასების პარალელურად, საბჭოს მუშაობაზე, ქვეყანასა და რეგიონში, გენდერული თანასწორობის კუთხით დღეს არსებულ ვითარებაზე, რეალურ გამოწვევებსა და მათი გადაჭრისათვის ერთობლივი ძალისხმევით გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობაზე ისაუბრეს;

29.11.2019 - არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ორგანიზებით და ევროკავშირის დაფინანსებით სასტუმრო „რედისონში“ „ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახებისა და პრობაციონერების მხარდაჭერის პროგრამის“ შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას კომიტეტის სახელით ესწრებოდა აჭარის კომიტეტის თავჯდომარის თანაშემწე მადონა ლომინაძე;

03.12.2019 - კომიტეტის თავმჯდომარე მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს გამოეხმაურა და აღნიშნა: „შშმ პირებს კვლავაც ექმნებათ გადაადგილების, განათლების, დასაქმების, რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და სხვა პრობლემები. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თითოეული წევრის ცნობიერების ამაღლებას და სოლიდარობას შშმ პირების მიმართ. მიგვაჩნია, რომ ისინი აქტურად უნდა იყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულნი და მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში“.

10.12.2019 - კომიტეტის თავმჯდომარე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს გამოეხმაურა. აღნიშნა, რომ „1948 წლის 10 დეკემბერს, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაცია მიიღეს. უნივერსალური დოკუმენტი მოიცავს, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ, ასევე სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს.

ადამიანის უფლებათა დაცვა უმთავრესი საზრუნავი და ძირითადი პრიორიტეტია. ამ უფლებების საყოველთაო დეკლარაცია ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც ყველას ერთად და ყოველ ჩვენგანს ცალ-ცალკე ეხება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი, მისთვის საზოგადოების მიერ მინიჭებული ნდობის მანდატის ფარგლებში, ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და დაცვის მიმართულებით არაერთ ღონისძიებას ახორციელებს თითოეული მოქალაქის მოთხოვნის შესაბამისად“;

17.12.2019 - ცხინვალში უკანონოდ დაკავებული ქართველი ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერად კომიტეტის თავმჯდომარემ სიმბოლურად, ყველასათვის ნაცნობი ფორმით - წერილი ზღვაში გაუშვა და გაფრინდაშვილის გათავისუფლება მოითხოვა;

23.01.2020 - კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, პატიმართა თხოვნით, ბათუმის N3 საპყრობილეში იმყოფებოდა. იგი პენიტენციურ დაწესებულებაში რამდენიმე საათის განმავლობაში ეცნობოდა მსჯავრდებულთა პრობლემებს. მონიტორინგის დასრულების შემდეგ, გარკვეული საკითხების ოპერატიულად მოგვარების მიზნით, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს შეხვდა და ადგილიდანვე გამართა კონსულტაციები ყველა შესაბამისი უწყების წარმომადგენლებთან. საუბრის თემა კვლავ პატიმართა უფლებები, სათანადო და ჰუმანური მოპყრობა და ჯანდაცვის სერვისი იყო;

03.03.2020 - კომიტეტის თავმჯდომარე დედის დღეს გამოეხმაურა. აღნიშნა, რომ ყველა დედა განსაკუთრებულია, ამიტომ, როცა დედა-შვილობაზეა საუბარი, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები ან რაიმე სხვა ტიპის ბარიერები. განსხვავებული შესაძლებლობების დედები, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ იმით გამოირჩევიან რომ მათ, სულიერთან ერთად, მეტი ფიზიკური ძალისხმევა სჭირდებათ შვილების აღზრდისათვის. ამიტომაცაა დასაფასებელი მათი შრომა და ამაგი.

კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები შშმ ქალბატონი უმაღლესი საბჭოს თანაშემწესთან - მადონა ლომინაძესთნ ერთად მოინახულა და დედის დღე ყვავილებითა და საჩუქრებით მიულოცა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი შშმ პირთა უფლებების დაცვა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობაა;

03.03.2020 - კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე მიწვეული იყო „ტვ 25“-ის ეთერში, სადაც ისაუბრა გენდერული თანასწორობის სხვადასხვა ასპექტებზე: საჭიროებები, გამოწვევები და პერსპექტივები, დედების მდგომარეობა საქართველოში და ქალთა როლი პოლიტიკაში;

21.03.2020 - კომიტეტის თავმჯდომარე ქართული ჟურნალისტიკის დღეს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც, მინდოდა და მინდა ძლიერი, თავისუფალი მედია - თავისუფალ და თავისუფლების ქვეყანაში;

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის - ახალი კორონავირუსით გავრცელებასთან დაკავშირებით გამოწვეული მსოფლიო პანდემიის გამო, ახალი ინფექციის კოვიდ - 19 შემდგომი გავრცელების, გარკვეული სირთულეებისა და ფორსმაჟორული სიტუაციის გათვალისწინებით, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მაშსტაბით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის და დაწესებული შეზღუდვების გამო განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა.

12.04.2020 - აჭარის რეგიონს უკავშირდება კორონავირუსის ერთ-ერთი ყველაზე დიდი - ე.წ. „ქობულეთის კლასტერი“, რომლის გამოც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ოთხი სოფელი - გვარა, მუხაესტატე, წყავროკა და ლეღვა ჩაიკეტა და მკაცრი საკარანტინო ზომები ამოქმედდა. კარანტინის გამოცხადების დროს კომიტეტის თავმჯდომარე თავის მშობლიურ სოფელ ლეღვაში იმყოფებოდა, არსებული საკარანტინო შეზღუდვების მოხსნამდე იგი ეხმარებოდა პარალიზებული სოფლების მოსახლეობას საჭირო წამლებისა და პროდუქტების მომარაგებაში;

14.06.2020 - კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოში შშმ პირთა დაცვის დღეს გამოეხმაურა. აღნიშნა, რომ ამ დღის მიზანია შშმ პირთა სოციალური იზოლაციის დაძლევა, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენა. აღნიშნული დღე საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წელს გამოცხადდა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდი გამოირჩეოდა იმითაც, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 14 ივლის მიღებული იქნა საქართველოს კანონი ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“.კანონში საუბარია შშმ

პირთა უფლებებსა და მათი განხორციელების გარანტიებზე: კანონის წინაშე თანასწორობა, დამოუკიდებელი ცხოვრება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შშმ პირი ქალები, შშმ პირი ბავშვები, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, აბილიტაცია და რეაბილიტაცია, შრომა და დასაქმება, ექსპლუატაციისაგან, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვა, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, მათი ჩართულობა კულტურულ, სპორტულ და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში. კანონში ჩაიწერა ადმინისტრაციული ორგანოსა და კერძო სამართლის სუბიექტის ვალდებულებები.

14.06.2020 - კომიტეტის თავმჯდომარემ „ტვ 25“-ის ეთერში სექს-მუშაკების საქმიანობასთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ თემაზე საუბარს ან გაურბიან, ან ქილოკობენ. საკითხი მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობას, სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს, არასრულწლოვნების პროსტიტუციაში ჩაბმას და ტრეფიკინგს.

„შეიძლება რაიმე არაპოპულარულს ვამბობ, მაგრამ ლეგალიზაციაზე ახლო მომავალში უნდა დაიწყოს საუბარი.

მანამდე კი იმ ადმინისტაციული ნორმის დეპენალიზაცია უნდა მოხდეს, რომელიც პროსტიტუციას დასჯადს ხდის და რის გამოც ძალადობის მსხვერპლი სექსმუშაკი ქალი ვერ მიმართავს პოლიციას“.

26.06.2020 - კომიტეტის თავმჯდომარე საჯაროდ გამოეხმაურა პროპორციულთან მიახლოებულ საარჩევნო სისტემას უმაღლეს საბჭოში და აღნიშნა, რომ „აჭარაში დაგეგმილი საარჩევნო ცვლილებები არის საყოველთაო შეთანხმების რეზულტატი და ის არსებულთან შედარებით უფრო სამართლიანია“.